პროექტი

საქართველო კანონი

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების შესახებ"

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი მიზნად ისახავს განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს იმ წევრების სტატუსი, მათი სამართლებრივი და სოციალური გარანტიები, რომლებმაც 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი უზენაესი საბჭოს წევრი

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი უზენაესი საბჭოს წევრი (შემდგომში – „ხელმომწერი პირი") არის 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული პირველი საყოველთაო, ფარული, თავისუფალი, პირდაპირი, მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით, ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე მიღებულ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მუხლი 3. ხელმომწერი პირის სტატუსის სამართლებრივი საფუძვლები

ხელმომწერი პირის სტატუსის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 4. ხელმომწერი პირის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

1. ხელმომწერ პირზე გაიცემა მოწმობა და სამკერდე ნიშანი, რომელთა ნიმუშს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე გასცემს ხელმომწერი პირის მოწმობასა და სამკერდე ნიშანს, რომლის აღრიცხვას აწარმოებს პარლამენტის საკადრო საკითხთა დეპარტამენტი.

3. ხელმომწერი პირის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.

მუხლი 5. ხელმომწერი პირის საქმიანობის გარანტიები

1. ხელმომწერი პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავარ პროკურორს.
2. თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ხელმომწერი პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება, ხელმომწერი პირის განცხადებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია

ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია არის სახელმწიფო პენსია, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ენიშნებათ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

მუხლი 7. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება

1. ხელმომწერ პირს ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ენიშნება ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია საქართველოს მოქმედი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.
2. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქონე პირს პენსიის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს.
3. თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა ამ კანონითა და "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით.
4. ხელმომწერ პირს, თუ იგი ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას, ან გააჩნია სხვა შემოსავალი, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია მიეცემა მისი საშუალო თვიური ანაზღაურების დანიშნულ პენსიამდე შევსების ოდენობით.

მუხლი 8. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის ოდენობის შეცვლა.

1. ამ კანონით განსაზღვრული ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის ოდენობა შეიცვლება საქართველოს მოქმედი პარლამენტის წევრის თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შესაბამისად.

მუხლი 9. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის წყარო.

ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის ხარჯები გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტში.

მუხლი 10. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის დანიშვნის წესი.

1. განცხადება ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის დანიშვნის, აგრეთვე ერთი სახის პენსიის არჩევის შესახებ წარედგინება საქართველოს პარლამენტის აპარატს, რომელიც 15 დღის ვადაში განცხადებას სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის კომპეტენტურ ორგანოს.
2. კომპეტენტური ორგანოს მიერ ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პენსია ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება და საჭირო დოკუმენტები წარდგენილია პენსიის დანიშვნის საფუძვლის წარმოშობის თვეში ან ამ საფუძვლის წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს და ისინი აკმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ პირობებს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. მარჩენალის გარდაცვალების გამო სპეციალური სახელმწიფო პენსია ინიშნება მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინება ამ საფუძვლის წარმოშობიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში კომპენსაცია ინიშნება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
4. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 11. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსიის ანაზღაურების პირობები

1. ხელმომწერი პირის სპეციალური სახელმწიფო პენსია არ დაენიშნება და თუ დანიშნული აქვს, შეუწყდება, თუ:

ა) ხელმომწერმა პირმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე ან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) ხელმომწერმა პირმა უარი განაცხადა სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღებაზე;

გ) ეწევა საჯარო საქმიანობას;

დ) ხელმომწერი პირი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის "ა", "ბ" და "გ", პუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ ხელმომწერ პირს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს სპეციალური სახელმწიფო პენსიის დანიშვნის განახლების მოთხოვნით.

მუხლი 12. ხელმომწერი პირის გარდაცვალების გამო სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება

1. ხელმომწერი პირის გარდაცვალების გამო სპეციალური სახელმწიფო პენსიის სრული ოდენობით მიღების უფლება ეძლევათ გარდაცვლილი ხელმომწერი პირის კმაყოფაზე მყოფ, ან შრომისუუნარო მშობლებს, მეუღლეს და 18 წლამდე ასაკის შვილს (შვილებს), შვილობილს (შვილობილებს), ხოლო შვილს (შვილობილს), რომელიც არის საშუალო სკოლის, უმაღლესი ან სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, ვიდრე არ დაამთავრებს სასწავლებელს და არ შეუსრულდება 24 წელი.
3. გარდაცვლილი ხელმომწერი პირის მშობლებს, მეუღლესა და შვილს (შვილობილს) სპეციალური სახელმწიფო პენსია არ დაენიშნებათ, ან თუ დანიშნული აქვთ - შეუწყდებათ, თუ:
ა) გარდაცვლილი ხელმომწერი პირის მშობლები, მეუღლე, შვილი ან შვილობილი არ არიან საქართველოს მოქალაქეები;
ბ) გარდაცვლილი ხელმომწერი პირის მშობლებს, მეუღლეს, შვილს ან შვილობილს გააჩნიათ დაზღვეული შემოსავალი;
გ) გარდაცვლილი ხელმომწერი პირის მშობლები, მეუღლე, შვილი(შვილები), შვილობილი(შვილობილები) უარს იტყვიან სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღებაზე.
დ) გარდაიცვალნენ ხელმომწერი პირის კმაყოფაზე მყოფი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირები;
ე) ხელმომწერი პირის კმაყოფაზე მყოფ შვილს (შვილებს) ან შვილობილს (შვილობილებს) შეუსრულდათ 18 წელი, ხოლო თუკი შვილი (შვილობილი) არის სკოლის, უმაღლესი ან საშუალო სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე – 24 წელი

მუხლი 13. სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურება ხელმომწერი პირის გარდაცვალების შემთხვევაში

1. სპეციალური სახელმწიფო პენსია, რომელიც ხელმომწერ პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს ხელმომწერი პირის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.
2. სპეციალური სახელმწიფო პენსიის მიღების თაობაზე რამდენიმე მემკვიდრის მიერ მიმართვისას კუთვნილი თანხა მათ შორის განაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სპეციალური სახელმწიფო პენსიიდან თანხის დაკავება

1. სპეციალური სახელმწიფო პენსიიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. ზედმეტად დარიცხული სპეციალური სახელმწიფო პენსიის დაბრუნება შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით დანიშნული პენსიის არა უმეტეს 20%-ის

დაკავების მეშვეობით, იმ შემთხვევაში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია მიმღების მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით.
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დანიშნული სპეციალური სახელმწიფო პენსიის არა უმეტეს 50%-ის დაკავება.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 15.
1. ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით სრულად შეუძლიათ ისარგებლონ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის იმ წევრებმაც, რომლებსაც ხელი არ აქვთ მოწერილი 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.
2. ეს კანონი ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

პროექტი